№ 1 (156) 14 იანვარი, 2000 წ

# ფანტაზია 2000



**ვიწყებთ ახალ საკროს-ვორდო სეზონს განახლ-ებული გაზე-თით**

## 2000 წელს 2000 კროსვორდი!

...ეს უბრალო დაპირება არ გეგონოთ!...

ჩვენ ნამდვილად გვსურს ამ დრაკონის წელს 2000 კროსვორდის გამოქვეყნება. მართალია, ამგვარი საქციელი რაღაცით წააგავს იმ გარდასული „ეპოქის" სულისკვეთებას, რომელშიც ჩვენი გაზეთის უმეცესი მკითხველი აღიზარდა, მაგრამ მაინც მივმართავთ ამ ნაცად ხერხს და ეს მშვენიერი 2000 წელი 2000 (შეძლებისდაგვარად!) მშვენიერი კროსვორდით გვსურს გავაცდაროთ თქვენთან ერთად, ჩვენო მეგობრებო!

...მართალია, ეს იმას ნიშნავს, რომ დღეში (2000:365=)5,4794 კროსვორდის შედგენა მოგვიწევს, მაგრამ ეს არ გვაშინებს, რადგან ამ მოძვალ-ტყავებული კონკურენციის პირობებში რაღაცით უნდა გაართო აუდიტორია, თორემ, იმ ლექსისა არ იყოს, ესღა გვექნება სათქმელი:

„აქეთ მე ვკვდები,
იქით – ის,
ქალი (მკითხველი)
წავიდა სხვისასა"

...ამიტომაც ვამბობთ:
ღმერთმა კროსვორდის
(...და ქალის!) მშვენიერება
არ მოგვაკლოს!



# ანუ შევერკინოთ ერთმანეთს?

**არტურ პორჯესის მოთხრობა „საიმონ ფლები და ეშმაკი"**

(მე-16 გვერდი)

**2000 წელს 20-გვერდიანი გაზეთით ვეგებებით!**

*მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი*

**ელიზაბეტ ტეილორი**

(მე-10 გვერდი)

**სკანდინავიური პარასკევი**

(მე-11-14 გვერდები)

# რეიტინგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | | 17 | |
| 2 | | 18 | |
| 3 | | 19 | |
| 4 | | 20 | |
| 5 | | 21 | |
| 6 | | 22 | |
| 7 | | 23 | |
| 8 | | 24 | |
| 9 | | 25 | |
| 10 | | 26 | |
| 11 | | 27 | |
| 12 | | 28 | |
| 13 | | 29 | |
| 14 | | 30 | |
| 15 | | 31 | |
| 16 | | 32 | |



02-30 ქულა – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება
31-60 – მე-2 თანრიგი
61-100 – 1-ლი თანრიგი
101-130 – ოსტატი
131-150 – კროსმაისტერი
151-162 – ბრავო, მაესტრო!
164 – კროსვორდი თქვენ შეადგინეთ!

— ამიერიდან ჩვენი გაზეთი თვეში ორჯერ 20-გვერდიანი მოცულობით გამოვა ფასის გაზრდის გარეშე, ასე რომ, თუ ფასის წამატების ფაქტებს შეესწარით, გთხოვთ გვაცნობოთ!

— ამა წლის მეორე ნახევრიდან მსურველებს შეეძლებათ ჩვენი გაზეთის გამოწერა და ბინაზე მიღება. ამის შესახებ ჩვენ დამატებით კიდევ მოგაწვდით ინფორმაციას.

1. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი (5). 2. ციმბირელ მენავთობეთა მთავარი ქალაქი (6). 3. დადგენილი ნორმებისა და მოთხოვნების შესაბამისი ანუ როგორი (4). 4. სკანდინავიური ტიტული ქალისა, რომელსაც ვერიკო ანჯაფარიძე სპექტაკლ „მოჩვენებანში" ატარებდა (7). 5. ჩვენი მინერალური წყალი (3). 6. ისტორიული რეგიონი ცენტრ. გერმანიაში (9). 7. ღვთისაგან გამოგზავნილი კაცი (2). 8. თვითკმაყოფილი კაცი, რომელიც პირფერობითა და უზრდელობით გამოირჩევა (8). 9. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უღიდესი მდინარე (5). 10. ხის მასალაზე ნახატის, გრავიურის შესრულება (9). 11. აღმოსავლურ სამყაროში გავრცელებული საკანონმდებლო ძალის მქონე დოკუმენტი (7). 12. ცისკენ მაცქერალი მეცნიერი (6). 13. ვარლენის როლის შემსრულებელი კინოფილმში „უდიპლომო სასიძო" (3). 14. იხილეთ ფოტო და... თუმცა თავადვე ხვდებით, რაც უნდა ჩაწეროთ (2). 15. ბალჩეული კულტურა (2). 16. ანსამბლ „ორერას" ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დამსახურებული წევრი (4). 17. რა აერთიანებს გეომეტრიას და დრამატულ ხელოვნებას (4)? 18. სწრაფი წერის ხელოვნება (5). 19. იისფერი ან ლურჯი ნახევრად ძვირფასი ქვა (6). 20. რა „ტიტული" აქვს ყველა კარგ სპორტსმენს ოთხ წელიწადში ერთხელ (5). 21. ოქროსა და ვერცხლის მიღების პროცესი ფხვიერი მადნისაგან (10). 22. მოდების პოპულარული ჟურნალი (7). 23. სოფლები გურჯაანისა და ჭიათურის რაიონებში (6). 24. (კიდევ ერთი) ჩვენი მინერალური წყალი (3). 25. ლუარსაბ თათქარიძის საყვარელი ძვირფასი თევზი (5). 26. შეიარაღებისა და ომისათვის მზადების (ძველი გაგებით – რეაქციული) პოლიტიკა (7). 27. 5-ის, 24-ის და 30-ის გამაერთიანებელი რამ (3). 28. სოფელი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული დავით გურამიშვილის ბიოგრაფიასთან (4). 29. ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის ცხოვრების მთავარი საქმე (6). 30. (კიდევ ერთი) ჩვენი მინერალური წყალი (3). 31. ქალის საცვალზე დაკერებული ქსოვილის ზონარი (5). 32. მჭიდრო სანათესავო ან სანაცნობო კავშირში მყოფი პიროვნება (3).



(პასუხები მე-17 გვერდზეა)



## ჩვენც მომავლისაკენ ვიყურებით... (აბა!!!)

...ჩვენ უკვე, კარგა ხანია, ვიცნობთ ერთმანეთს და ამიტომაცაა, რომ ძველი და გამოცდილი „ფანტაზიელი" ამ სტრიქონების წაკითხვისას იმავწუთს გაიფიქრებს – „დაიწყო ცარიელი ადგილის შევსებაო" – მაგრამ რაკიღა წლის დასაწყისში რაღაცის თქმა ნესადაა ქცეული ყველა რანგისა და ჩინის წარმომადგენლისათვის, ჩვენც იგივეს გავაკეთებთ და ვიტყვით, რომ ...დიახ, დიახ!... ჩვენ ახლა უკვე თამამად ვიცქირებით მომავლისაკენ, რადგან ჩვენი და თქვენი გაზეთის თითქმის ოთხწლიანი ჯაპანწყვეტის შემდეგ, როგორც იქნა, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ამ ჩვენი ცოდვით სავსე „ფანტაზიის" არსიც და სახეც; ახლა ისღა დაგვრჩენია, რომ მოგახსენოთ, თუ რას ვაპირებთ უახლოეს მომავალში (უფრო მეტად არასკეროსვორდო სფეროში):

1. გვსურს და ძალიან გვინდა იმგვარი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე ინტელექტუალური პროცესების ამსახველი იქნება და ამ საქმეში „ინტერნეტის" იმედი გვაქვს.

2. გვსურს და ძალიან გვინდა ჩვენს გაზეთში ისეთი სფეროს გაშუქება, რომელსაც სპორტი ეწოდება და რომელსაც ჯერ არასოდეს შევხებივართ და რომელიც ჩვენ ძალიან გვიყვარს.

3. გვსურს და ძალიან გვინდა ჩვენი თანამედროვე ღირსეული თანამემამულეების საგაზეთო პორტრების შექმნა, რაც ჩვენ უფრო საშურ საქმედ მიგვაჩნია, ვიდრე „სა-ქერინგთონ-ოელი" სუბიექტების მიხრა-მოხრა და გავლა-გამოვლების შესახებ ლაპარაკი;

4. გვსურს და ძალიან გვინდა ისეთი აუცილებელი და კეთილშობილური საქმის ხელის შეწყობა, როგორიცაა მთარგმნელობითი საქმიანობა და რომელსაც მაქსიმალურ ყურადღებას დავუთმობთ.

5. გვსურს და ძალიან გვინდა, რომ ყველა ქართველი კარგი ქართულით ლაპარაკობდეს და წერდეს და მათ შორის ჩვენც!

...ერთი სიტყვით, ბევრი რამ გვსურს და ძალიან გვინდა და, მგონი, ხწორედ რომ საამისოდ მოგვივიდა ეს დალოცვილი 2000 წელი! ვნახოთ...

უახლოეს ნომერში რუბრიკით – ანონსი
მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი
უმშვენიერესი
კიმ ბესინჯერი






# 1000 კურიოზი



91. ყველას გსმენიათ ჩვენი ანეკდოტი იმ კაცის შესახებ, რომელიც ძალიან ჰგავდა ბელადს. გთავაზობთ ამ ანეკდოტის პირველწყაროს:

**Учитель на портрет Карла Маркса:**

**- Дети, вы все знаете этого гения, этого великого человека. Кто назовет его?**

**Ученик:**

**- Это наш дворник дядя Вася.**

**Учитель в испарине :**

**- Что вы? Это же...**

**Ученики:**

**- Да... да... Это наш новый дворник.**

**Учитель выбегает во двор. Там подметает двор тип, полностью похожий на Карда Маркса.**

**- Знаете, милейший, это школа. Вы очень некстати похожи. Может лучше сбрить вам бороду?**

**Дворник подумав:**

**- Ну бороду сбрею, ладно. А умище то куда девать?... Умище то?!**

92. ინგლისურის გაკვეთილზე:

– გოგი, დუ იუ სპიკ ინგლიშ?

– რაო?

– ლალი, დუ იუ სპიკ ინგლიშ?

– რაო?

– გივი, დუ იუ სპიკ ინგლიშ?

**- Yes, my teacher, i'm good speak English.**

– რაო?

93. – რამდენი დაგჭირდა შენ საიმისოდ, რომ ფრენა გესწავლა?

– შვიდი თუ რვა...

– თვე?

– არა, თვითმფრინავი.

94. კითხვა:

– რა განსხვავებაა მათ შორის, ვინც ვარდება პირველი სართულიდან და ვინც ვარდება მეათე სართულიდან?

პასუხი:

– პირველ შემთხვევაში ჩვენ ჯერ გვესმის ბუ-ბახ!.. და შემდეგ ა-ა-ა-ა-ა-ა-ა!... მეორე შემთხვევაში კი – ჯერ ა-ა-ა-ა-ა-ა!... და შემდეგ ბუ-ბახ!

95. ადვოკატის ოფისში:

– 50 მარკა ორი შეკითხვისათვის... ზედმეტი ხომ არ მოგივათ?! – აღშფოთებას ვერ მალავს კლიენტი.

ადვკატი:

– ...და კიდევ 25 მარკა მესამე შეკითხისათვის!

96. ვაჟი ეუბნება ქალს:

– ცოლად თუ არ გამოყვები, იცოდე თავს მოვიკლავ!

– მართლა?!

– რა თქმა უნდა, მე სულ ასე ვიქცევი ხოლმე.

**თარაზულად.** 9. ქართული ფილმი შეყვარებული მეშახტეების შესახებ. 10. ათენის უძველესი ნაგებობა. 12. ქალაქი ავსტრალიაში. 13. რელიგიური რიტუალი, რომელიც უიღბლო შეყვარებულს მაინც ვერაფერს შველის. 14. რელიეფის ზედაპირის ჩაღრმავებული ნაწილი. 15. რა უდევს მკერდში ცალმხრივი სიყვარულის უკარება ობიექტს? 16. სისხლძარღვთა დაავადება. 20. საქართველოს კურორტი. 21. ქალაქი აშშ-ში. 24. არსება, რომელსაც საფლავში (მაინც!) ვერ ჩაჰყვები. 26. როგორი (მოურიდებელი) უნდა იყო, რომ სიყვრულში წარმატებას მიაღწიო. 28. თანამედროვე კოლუმბიელი მწერალი. 29. ამა თუ იმ პუბლიკაციის მოკლე მიმოხილვა. 30. სახელი, რომელიც გაზაფხულივით ქალებს ჰქვიათ. 32. ვაჟასეული „სტუმარ-მასპინძლის" შესავალში ნახსენები ქალის სხეულის ლამაზი ნაწილი. 34. შეყვარებული სერგოს როლის შემსრულებელი მსახიობი. 35. რა არის გულმკვდარი მიჯნურისათვის სატრფოს ხილვა... უებარაობის გათვალისწინებით? 39. მითოლოგიური სადამსჯელო სარეცელის პატრონი. 40. სამუზეუმო ნივთი. 43. აშშ-ს შტატი. 44. ყველაზე ცნობილი ფარმაცევტი ქართულ კინოში. 45. იგივეა, რაც შარაგზა. 47. კაცი, რომელიც ბავშვობაში „რადიატორთან იჯდა". 48. ქალაქი ურალში. 50. მსახიობი, რომელიც ერთ ამერიკულ ფილმში გარდაცვლილ მიჯნურთან ამყარებს კონტაქტს. 51. შეყვარებული ფეხბურთელი ქართული კინოდან. 52. სინდი კროუფორდის „საყვარელი" მღრღნელი. 55. ინგლისელი როკ-მომღერალი. 57. ქრისტიანული სამყაროს წმინდანი. 59. დედაქალაქის ცდუნებას დახარბებული სუბიექტი.

**შვეულად:** 1. რა თვისება უნდა ჰქონდეს შეყვარებულს, თუ წარმატების მიღწევა სურს? 2. როგორია ხშირად სატრფო მეტრფეს მიმართ? 3. როგორი სიხშირისაა სიყვარული ორმოცი წლის ასაკის შემდეგ? 4. ექიმი, რომელიც თავისი კვალიფიკაციის მიუხედავად, მაინც ვერაფერს დაანახვებს ცალმხრივი სიყვარულის გულქვა ობიექტს. 5. მშვენიერების გამოსახატავად ხშირად ხმარებული მეტაფორული სიტყვა კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში. 6. ჭადრაკის მარადიული დედოფალი. 7. ქართული მელოდრამა მოღალატე ქმრის შესახებ. 8. ...და მაინც რა სდევს ხოლმე თან სიყვარულს? 11. რა უხარის მას, „ვისაც კარგი ცოლი ჰყავს"? 17. რა უნდა გაიარო ნამდვილი სიყვარულის წინ... მსახიობთა ენაზე? 18. სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი, ერთ სომხურ ფილმში ტაქსისტი რომ შეუყვარდა. 19. საქონლის ნაირგვარობა და მრავალფეროვნება. 22. დედალი ცხენი. 23. უიღბლოდ გამიჯნურებული (ცდუნებული...) ქალის არაიშვიათი „ტიტული" ამსუბუქებისას. 25. სპორტული მანქანა. 27. ჩვენი ისტორიულ-ლიტერატურული გმირი, რომელმაც სიყვარულს ხელოვნება ანაცვალა. 31. ზღვისპირელ შეყვარებულთა ტრადიციული სასეირნო ადგილი. 33. ინდონეზიის კუნძული. 36. გოგონა „უძინართა მზიდან". 37. გმირულ-სატრფიალო რომანების ავტორი შუა საუკუნეების რაინდების შესახებ. 38. XIX ს რუსი მწერალი. 41. რუსული სინამდვილის გენია. 42. ჩვენი ფაუნის ქართულსახელიანი მგალობელი ფრინველი. 46. უიღბლო შეყვარებული ლეონიდ კურავლიოვის კინოგალერეიდან. 49. იგივეა, რაც არენა. 53. უმშვენიერესი ფრანგი კინომსახიობი ქალი. 54. სკოლაში „წარმოებული" სიყვარულის ხშირი თანამდევი „სასჯელი" 56. მამული, რომლის გამოც „ქარწაღებულნის" მთავარმა პერსონაჟმა ქალმა სიყვარულიც კი უარყო. 58. როგორი არ არის სიყვარული... საერთო ჯამში?

**თარაზულად:** **1**. ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქი. **4**. აპარატი, რომლის დანიშნულება გაზების შთანთქმა-შეწოვაა. **8**. ერთ-ერთი წარმომადგენელი ჩვენი ხაჭაპურების გალერეისა. **11**. საქართველოს რაიცენტრი. **18**. ხელსაწყო, რომლის დანიშნულება ამა თუ იმ ქმედების გაკონტროლება-მოწესრიგებაა. **19**. როგორი ვითარებაა ახლა ჩვენში 3-4 წლის წინანდელ წარსულთან შედარებით? **20**. ზოგიერთი უსიმპატიო არსების განმაზოგადებელ სახელად შექმნილი ჩვენი სიტყვა. **23**. ძალიან დიდი და მასშტაბური ანუ როგორი? **24**. ერთ-ერთი სამეურნეო სფერო. **25**. საეკლესიო წესების კრებული. **29**. ფრანგი მწერალი, დეტექტიური ლიტერატურის ერთ-ერთი დიდოსტატი. **30**. მუსიკის შექმნა-შესრულებისას გამოყენებული სპეციალური ხელსაწყო. **31**. სავაჭრო ოპერაციაში მონაწილე სუბიექტი. **32**. შილაფლავის აუცილებელი საკმაზი. **36**. ცნობილი ქართველი აკადემიკოსი, ბატონი ივერი.... **37**. მასხარების ნომერი ცირკში, რომელშიც ბუფონური ელემენტებია ჩაქსოვილი. **38**. გენიალური გერმანელი კომპოზიტორი. **43**. სიტყვა, რომელიც ერთხანს „ვაგონს" ესინონიმებოდა ჩვენს ენაში. **44**. ევროპაში გავრცელებული ზამთრის სპორტული სახეობა, მარხილით სწრაფდაშვება. **45**. იგივეა, რაც თილისმა თუ ავგაროზი. **46**. ჰალოგენებს მიკუთვნებული ქიმიური ელემენტი. **51**. მიუსაფარი პერსონაჟი, რომელმაც შექსპირის და გალაკტიონის შემოქმედება გააერთიანა... ერთხელ. **52**. ფრანგი პოეტი, კლასიციზმის თეორეტიკოსი, ავტორი ტრაქტატისა „პოეტური ხელოვნება". **53**. პირობითი საიდუმლო ნიშნებით ჩაწერა. **54**. პერსონაჟი ტრაგედიისა „რომეო და ჯულიეტა". **58**. კინოლიტერატურული ქმნილება. **59**. თხის ბეწვისაგან დამზადებული უხეში ქსოვილი. **60**. ქართული ოპერისა და კინოს დიდებული წარმომადგენელი. **61**. ძველებური სიგრძის საზომი ერთეული. **66**. ფრანგი მხატვარი, გრაფიკოსი, დეკორატიული ხელოვნების დიდოსტატი. **67**. ხის განშტოებული ნაწილი პირველი ტოტებიდან კენწერომდე. **68**. ესტონელი მომღერალი ქალი, ანე.... **69**. ქალაქი, სადაც კარლ მარქსი დაიბადა. **70**. ის, რაც საქმის ნახევარია, თუ, რა თქმა უნდა, კარგია. **75**. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის ჩემპიონატის ფინალში გატანილი გოლის ავტორი. **76**. ქმედება, რომელსაც ხშირად ემგვანება უგერგილო ჭიდაობა. **77**. როგორი „სტატუსი" შემორჩა პაატას ჩვენს ისტორიაში? **82**. ქართული თავადური გვარი. **83**. სასწაულმომქმედი თხა ძველბერძნული და ახალქართული სინამდვილიდან. **84**. მცენარეული პლანქტონი. **88**. პერსონაჟი არჩილ სულაკაურის პიესისა „სალამურა". **89**. ლითონის კოჭა, რომელსაც აქვს ბერძნული ასო „პ"-ს ფორმის კვეთი. **90**. დადგენილი ნორმა-ნიმუში. **91**. ცნება, რომელიც ხშირად არ უთანაბრდება ცნება „სიცოცხლეს". **95**. ე.წ. „შინაური კონსერვების" დასამზადებელი აპარატი. **96**. მდინარე ლიტვა-ბელორუსიაში. **97**. ცნობილი სოფელი მარტვილის რაიონში. **98**. რა აქვთ საერთო ორნითოლოგიას და ფეხბურთის მოედანს. **103**. როგორი სისხლი ჰქონდათ ჰიტლერს და მის თანამზრახველებს... მათივე აზრით? **104**. დარგინელი მწერალი დაღესტანიდან. **105**. რა არის „ბარი" „ბარისთვის? **106**. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმშვენიერესი ქვეყანა. **110**. ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა. **111**. ერთი და იმავე სიმაღლის ორი ან რამდენიმე ტონის ერთდროული ჟღერა. **112**. როგორი ქოხები ჰქონდათ ჩვენს (საწყალი ხალხის) წინაპრებს? **117**. გარემომცველი ვითარება. **118**. ოპტიკური მინა. **119**. შორეული წარსულიდან შემორჩენილი ნივთი. **120**. აფხაზი კომუნისტების ლიდერი კომუნისტობის ეპოქის მიწურულს. **125**: რუსული თამაში. **126**. უფრო ხშირად ქალისათვის დამახასიათებელი ქმედება, იგივე „ხუშტური". **127**. ცნობილი რუსი მსახიობი ქალი, „13 სკამის" სატელევიზიო ფუნდუკიდან (იყო ასეთ გადაცემა). **128**. ტუალეტისა და პირადი მოხმარებისათვის საჭირო სხვადასხვა წვრილმანი. **132**. ევროპის ერთ-ერთ რეგიონთან „დაკავშირებული" ქიმიური ელემენტი. **133**. შესანიშნავი ქართველი მსახიობი მამაკაცი („ჩვენი ეზო", „ხევსურული ბალადა", „პასპორტი" და ა.შ.) **134**. გემი, რომელიც გალაკტიონის შემოქმედებაში ფიგურირებს. **135**. ფოტოფირების მწარმოებელი ფირმა. **140**. მალაის არქიპელაგის კუნძული. **141**. ალპიური ყვავილი. **142**. ქიმიური ელემენტი, რომლის სახელი გერმანულად „ჯუჯას" ნიშნავს. **143**. XIX ს ინგლისელი მწერალი ქალი. **147**. ერთ-ერთი ბორცვი, რომელზედაც რომია გაშენებული. **148**. ვასილ ბარნოვის ლიტერატურული ამპუა. **149**. ჩქაროსნული საჭადრაკო პარტიიის სახესხვაობა. **154**. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი. **155**. რითმის სახეობა, სადაც ერთმანეთს თანხმოვნები ემთხვევა და არა ხმოვნები. **156**. მანძილი ორ ნაბეჭდ სტრიქონს შორის. **157**. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცხენი მსოფლიო ლიტერატურაში. **158**. ქიმიური ელემენტი, ღია რუხი ფერის ლითონი. **159**. სამკურნალწამლო პრეპარატი ჩირქოვან-ანთებითი პროცესების პროფილაქტიკისათვის.



**შვეულად:** **1**. პროფესიქლი კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ძლიერი „ჩიტის" სახელი. **2**. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიასთან უშუალოდ დაკავშირებული სოფელი. **3**. გერმანული წარმოშობის ქალაქი თანამედროვე რუსულ სივრცეში. **5**. ახლო წარსულის ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, მცველი. **6**. ფეხსაცმლის მწარმოებელი ცნობილი ფირმა. **7**. იულის კეისარის სახელთან დაკავშირებული მდინარე. **9**. ვარდისებრთა ოჯახის ხეხილი. **10**. „ფუნქციონალური" დანიშნულების ქედი საქართველოში. **12**. ქართული ფილმი „სისხლგამშრალი" საზოგადოების შესახებ. **13**. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი. **14**. ძლიერი აღმგზნებადი საშუალება. **15**. უკანასკნელი დროის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი გერმანელი ფეხბურთელი. **16**. სამარყანდის ყველაზე ცნობილი ისტორიული ძეგლი-მოედანი. **17**. ცხენშებმული ეკიპაჟი ძველ ევროპაში. **21**. ზამთრის ერთ-ერთი ფრანგული ოლიმპიური დედაქალაქი. **22**. სიტყვა, რომლითაც XX საუკუნის ჩვენი ყველაზე პოპულარული სიმღერა იწყება. **26**. მომაჯადოებელი, მომსპობი, გამანდგურებელი და ა.შ. **27**. როგორი რევოლუცია განახორციელა ლენინმა? **28**. მტრის ზურგში გადასმული საბრძოლო რაზმი. **33**. ერთის, მარტომყოფობის გამომხატველი ირონიული სიტყვა. **34**. ცნობილი რუსი მსახიობი მამაკაცი („იღბლიანი ჯენტლმენები", „ივან ვასილის ძე იცვლის პროფესიას", „მიმინო" და სხვა). **35**. შემფასებლური ქმედება, რომელიც ქართველებს მაინცადამაინც არ გვიყვარს. **39**. საუკეთესო ხარისხის ქვანახშირი. **40**. კრასნოდარის მხარის კურორტი. **41**. როფორი სოფელი აშენდა 1980 წელს მოსკოვში? **42**. რისამე შესასრულებად ჩატარებულ ქმედებათა ერთობლიობა. **47**. ჯოჯოხეთის საწვავი. **48**. ქართველი კინომსახიობი ქალი („მოიტაცეს თამარ-ქალი", „მხიარული რომანი" და სხვა). **49**. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი აზიური დედაქალაქი. **50**. ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა. **55**. ტკივილგამაყუჩებელი ქმედება. **56**. სანაყი საშუალების ერთ-ერთი დიალექტური სახელი. **57**. დასვენების დღეების წინაპერიოდი. **62**. თანამედროვე ქართველი მწერალი. **63**. აზიურ სამყაროში ლიდერის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც XII საუკუნიდან გახდა ფართოდ ხმარებადი. **64**. XIX-XX სს ზღვარზე არსებული ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელი. **65**. XIX ს ცნობილი რუსი ფიზიკოსი. **71**. ერთ-ერთი რუსული რელიგიური სექტის წარმომადგენელი. **72**. შავმოწითალო ფერი. **73**. XX საუკუნის შუახანების ევროპის ყველაზე ფართოდგაშლილ პოლიტიკურ ქმედებათა გამაერთიანებელი სიტყვა. **74**. ქართველი კინორეჟისორი. **78**. უსიმპატიო დამოკიდებულების სახესხვაობა. **79**. არაბული სამყაროს ერთი ცნობილი სახელმწიფოს გამაერთიანებელი კრებითი სახელი. **80**. დინამიკა მუსიკაში. **81**. მთელი სიდიდე, რომელსაც განიხილავენ როგორც თავის უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამს. **85**. თქვენს ხელთარსებული ნომრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის სახელი. **86**. წონის არატრადიციული ერთეული. **87**. თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ლიდერი. **92**. იყო ასეთი პრემია საბჭოთა სინამდვილეში. **93**. ადამიანისა და ცხოველის დაავადება, რომელსაც იწვევენ ერთგვარი მრგვალი პარაზიტი ჭიები. **94**. იგივეა, რაც ღერეფანი თუ აივანი. **99**. თანამედროვე ქართველი პოეტი, ვერლიბრის ოსტატი. **100**. ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში. **101**. ესპანელ და პორტუგალიელ მეფეთა მემკვიდრე. **102**. სახელი-კომპოზიტი, რომელიც საბჭოეთში ორი ძალიან მაღალჩინოსანი ქართველის გვარებით იყო შედგენილი. **107**. ლენინისათვის მეტად საძულველი საზოგადოებრივი კლასი. **108**. **იხილეთ ფოტო**. **109**. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონის, ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ნახევარმცველი. **113**. უძრავი ანუ როგორი? **114**. სანოტო ნიშანი. **115**. ევროპის სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქი. **116**. ადგილობრივი მკვიდრი. **121**. ოპერის მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი. **122**. თავის საქმეში მეტად დახელოვნებული პიროვნება. **123**. თოფის სახესხვაობა. **124**. გოგონა, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის საშინელების მსხვერპლი შეიქნა. **129**. სხვის ტერიტორიაზე შეჭრილი სუბიექტი. **130**. ვალის წინდა. **131**. ამკრძალავ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა. **136**. ქართული ფილმი სატრანსპორტო სფეროს მუშაკის შესახებ. **137**. „აქებდეთ ღმერთსა". **138**. ძლიერი ცივი ქარი. **139**. ას ნაწილად დაყოფილი მთელის შემადგენელი ნაწილი. **144**. ყველაზე ცნობილი მეკვლე ჩვენს კინემატოგრაფში. **145**. გოეთეს უმთავრესი ქმნილება. **146**. ჯუზეპე გარიბალდის რომანი. **150**. „ბებერი სამყარის" ვალუტა. **151**. თარაზულ №60-თან უშუალოდ დაკავშირებული კინოპერსონაჟი. **152**. ლათინური ამერიკის სახელმწიფო. **153**. რუმინელი ფეხბურთელი.


1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13
14 15 16 17
18 19 20
21 22
23 24 25
26 27 28
29 30 31 32
33 34 35
36 37 38
39 40 41 42
43 44 45 46
47 48 49 50
51 52 53 54
55 56 57
58 59 60 61
62 63 64 65
66 67 68 69 70
71 72 73 74
75 76 77
78 79 80 81
82 83 84
85 86 87
88 89 90 91
92 93 94
95 96 97 98
99 100 101 102
103 104 105 106
107 108 109
110 111 112
113 114 115 116
117 118 119 120
121 122 123 124
125 126 127 128
129 130 131
132 133 134 135
136 137 138 139
140 141 142 143
144 145 146
147 148 149
150 151 152 153
154 155 156
157 158 159

# ფანტაზიორი

გთავაზობთ 12 კითხვას, რომელთა საშუალებით და თქვენი ფანტაზიის მოშველიებით შეგეძლებათ საკუთარი ცოდნისა და წარმოსახვის დონის განსაზღვრა;
რუბრიკას უძღვება ვახტანგ ელერდაშვილი.
*(პასუხები იხილეთ მე-17 გვერდზე)*

კითხვა №1

20 ავსტრიული შილინგის კუპიურაზე გამოსახულია მხატვარი დაფინგერი, 50-ზე - ზიგმუნდ ფროიდი, 100-ზე - სახელმწიფო მოღვაწე ბემ-ბავერკი, 500-ზე - არქიტექტორი ვაგნერი, 1000-ზე - ფიზიკოსი შრედინგერი.

**ვინ არის გამოსახული 5000-იან კუპიურაზე?** (10 ქულა)

კითხვა №2

ეს ნაშრომი უკვე 3 საუკუნეზე მეტია, იპყრობს გარკვეული მეცნიერების წარმომადგენლების ყურადღებას. ბევრი გენიალური მეცნიერი თუ უბრალო სტუდენტი ახალგაზრდული მაქსიმალიზმის წლებში ცდილობდა ამ ნაშრომის საიდუმლოს გამოცნობას, რომელიც დღემდე რჩება საიდუმლოდ. ნახსენები მეცნიერების ერთმა ყოფილმა წარმომადგენელმა 1950-იან წლებში მიუძღვნა მას მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მთავარი გმირი (ნახსენები მეცნიერების კიდევ ერთი წარმომადგენელი) მოუგებს ეშმაკს 100.000. დოლარს, რადგან ეშმაკიც კი ვერ შეძლებს ამ ნაშრომის საიდუმლოს გამოცნობას.

**დაასახელეთ ამ ნაშრომის ავტორი** (11 ქულა)

კითხვა №3

**რომელი ცნობილი გამონათქვამით იწყება ჩესტერტონის აფორიზმი**:

"... მის გამო ერთმანეთს ლანძღავენ, აგინებენ, ჩხუბობენ და ომობენ"? (9 ქულა)

კითხვა №4

ითვლება, რომ ეს გამოიგონეს ძველმა ბერძნებმა, მას მასტოდეტონი ერქვა და წარმოადგენდა მატერიის ვიწრო ზოლს. ის განავითარეს რომაელებმა, მიაღებინეს მას თანამედროვე ფორმა, დაიწყეს მისი ტყავისაგან დამზადება და სტროფიუმი უწოდეს. ძველ ინდოეთში მას დევადასი ეწოდებოდა და ოქროთი და ძვირფასი ქვებით ამკობდნენ. დღეისათვის ის ქალების 90%-ის ტუალეტის აუცილებელი ატრიბუტია.

**დაასახელეთ მისი თანამედროვე სახელწოდება** (6 ქულა)

კითხვა №5

ამჟამად რუსეთში ძალიან პოპულარულია იუმორით სავსე, QUEST-ის ტიპის კომპიუტერული თამაში: "Петька и Василий Иваныч спасают галактику", რომელიც იწყება შემდეგნაირად: დიდი ხნის წინ მზის სისტემაში შემოიჭრა უცხოპლანეტელების ხომალდი, რომელმაც კოსმოსში განიცადა კატასტროფა და აღმოჩნდა დედამიწის ორბიტაზე. უცხოპლანეტელების უმრავლესობა დაიღუპა, დანარჩენებს კი ღრმად ეძინათ ანაბიოზში.

**რამ გააღვიძა ისინი XX საუკუნეში, ჩაპაევის ცხოვრების ხანაში?** (8 ქულა)

კითხვა №6

70-იანი წლების დასაწყისში ახალი გვინეის ხელისუფლებამ გამოუშვა სპეციალური ინსტრუქცია, რომელშიც პირდაპირ იყო მითითებული ამ "საქონლის" პირველი გაყიდვის თასი - 240 დოლარი და 5 ღორი, მეორე გაყიდვის - 30 დოლარი და 3 ღორი. ინსტრუქციის გაგრძელებაში ეწერა, რომ "ამის შემდეგ საქონელი კარგავს თავის ღირებულებას".

**რა „საქონელზეა" საუბარი?** (7 ქულა)

კითხვა №7

ადამიანთა უმრავლესობის აზრით, იქ არის მხოლოდ შავი ფერი. არგენტინელი მწერალის ხორხე ლუის ბორხესის რწმუნებით კი, იქ დომინირებს ცისფერი და მწვანე, ხოლო შავი და წითელი ფერები იქ საერთოდ არ არის. ჩვენ არ გაგვაჩნია საფუძველი არ დავუჯეროთ ბორხესს, ვინაიდან მას, ჩვენგან განსხვავებით, ეს ფერები ნანახი აქვს.

**რა ფერებზეა საუბარი?** (9 ქულა)

კითხვა №8

მერფის, პარკინსონის და სხვა მათ მსგავს კანონებს შორის არსებობს ჰოფშტადტერის კანონი, რომელიც ამბობს: "ნებისმიერ საქმეს ყოველთვის მიაქვს უფრო მეტი დრო, ვიდრე თქვენ გგონიათ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ითვალისწინებთ..."

**დაასრულეთ ეს კანონი** (10 ქულა)

კითხვა №9

ერთხელ რუსეთის ტელეკომპანია "ორტ"-ს წამყვანმა იური ნიკოლაევმა ერთ-ერთ გადაცემაში შეკითხვაზე: "არიან თუ არა ვალერი მელაძე და სოსო პავლიაშვილი ძმები?" - უპასუხა: "დიახ, არიან. უფრო მეტიც, მათი დედაა ნანი ბრეგვაძე, მამა - ვახტანგ კიკაბიძე, ბიძა კი ..."

**დაასახელეთ ხმით გამორჩეული ხელოვანი, მაგრამ მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში სულ სხვა საქმიანობით ცნობილი ქართველი, ვინც ნიკოლაევმა მათს ბიძად გაასაღა?** (5 ქულა)

კითხვა №10

1888 წელს რეპორტიორებმა გაავრცელეს ინფორმაცია ერთი კაცის სიკვდილის შესახებ. ეს, უბრალოდ, შეცდომა იყო, რადგან სინამდვილეში გარდაიცვალა მისი ძმა. გარდაცვლილს "მკვლელობათა მეფე" და "სიკვდილით მოვაჭრე" უწოდეს. მას შეეშინდა მომავალ თაობათა სამსჯავროსი.

**რა შექმნა მან, რათა კეთილი სახელი დარჩენოდა?** (7 ქულა)

კითხვა №11

ერთხელ "ჩინეთმცოდნეობის" ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა, რომელიც იმყოფებოდა ტაივანზე, გადაწყვიტა ენახა ბუდისტური მონასტერი. გზა აღმოჩნდა ძალიან დიდი და მას დილიდან საღამომდე მოუწია სიარული. როდესაც მან მიაღწია მონასტერს, ერთ-ერთმა ბერმა ის თავაზიანად შემოიპატიჟა და მათ დაიწყეს მონასტრის დათვალიერება. ერთ-ერთი კორიდორის ბოლოში სტუდენტმა შეამჩნია უცნაური მოციმციმე შუქი და რამოდენიმე ბერის სილუეტები, რომლებიც ისხდნენ იატაკზე. "ალბათ ლოცულობენ", - იფიქრა სტუდენტმა.

**რას აკეთებდნენ ბერები სინამდვილეში?** (7 ქულა)

კითხვა №12

მე-19 - მე-20 საუკუნეების მიჯნაზე რუსეთიდან ამერიკაში ჩავიდა ორი პიროვნება: ე.დავიდოვი და მისი თანამემამულე ი.ხარლამოვი. მათ შექმნეს მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი ფირმა.

**დაასახელეთ ეს ფირმა?** (11 ქულა)

## შევაჯამოთ ქულები

**20** ქულამდე — დამწყები „ფანტაზიორი"-ს შედეგი.

**21-35** ქულა — თქვენი ცოდნა გარკვეულ სრულყოფას საჭიროებს.

**36-50** ქულა — თქვენი ცოდნა და ინტუიცია ჰარმონიაშია მოსაყვანი.

**51-70** ქულა — თქვენი ცოდნის უკან სათანადო ინფორმაციული მხარდაჭერა არ დგას.

**71-80** ქულა — ჩვენ ვამაყობთ, რომ ასეთი მკითხველები გვყავს.

**81-94** ქულა — დიდებული შედეგია, მიიღეთ მონაწილეობა ინტელექტუალურ თამაშებში.

**95-100** ქულა — აი, შე ეშმაკო!... პასუხები ნახე, ხომ?!

თუ გაქვთ საინტერესო კითხვები, მოგვაწოდეთ და ჩვენ სათანადო მადლობას გადაგიხდით.

„ფანტაზიის" რედაქცია

# უპრალოდ კროსვორდი



**თარაზულად:** 1. ხელოვნური მკერდის დასამზადებელი ნედლეული. 5. ყველაზე ცნობილი მულტიპლიკაციური ლომის სახელი. 8. საჭადრაკო დებიუტის სახესხვაობა. 14. ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი განშტოება. 15. ლურჯი საღებავი. 17. ყველაზე ძლევამოსილი მეფე ქართულ ლიტერატურაში. 18. როგორი დაწესებულებაა საავადმყოფო?

21. კაცი, რომელიც მდუღარე ჩაიდანის სახურავის არარიტმულმა მოძრაობამ დიდ გამოგონებამდე მიიყვანა.

22. რუსი მსახიობი ქალი ფილმიდან „Белорусский вокзал". 23. ბიბლიური წინასწარმეტყველი. 24. იოსელიანების გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. 28. ცნება, რომელიც ჟარგონის ენაზე ვალის ჩასესხების ნაწილს უკავშირდება. 29. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულსა და ჩრდილოეთის მიმართულებებს შორის. 30. ალჟირული წარმოშობის ცნობილი მწერალი. 34. სახელი სტენდალისეული „წითელი და შავის" მთავარი პერსონაჟისა. 35. ვითარება, რომელიც სპორტულ თამაშებში წარმატების საწინდარია. 39. მოწიწებული დამოკიდებულება ვინმესადმი. 40. მუსლიმანთა დღესასწაული. 41. როგორი არსებაა ქალიშვილი თავისი არსით? 45. სამკურნალო მცენარე. 46. პერსონაჟი მოთხრობისა „მანონ ლესკო". 47. შესანიშნავი თანამედროვე ქართველი მუსიკოსი. 51. „ილიადას" ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ცოლისაგან მოკლული. 52. ასაკოვანი კაცის ერთ-ერთი ეპითეტი. 53. ზაფხულის სიცხეზე ზედდართული ერთ-ერთი უსიამოვნების გამომწვევი მიზეზი. 56. კაცი, რომელმაც ყველაზე ცნობილი კვანძი გააკეთა. 57. ქვეყანა, სადაც პირველი სლავური სახელმწიფო მდებარეობდა. 58. სამი ნაწილისაგან შემდგარი ნაწარმოები ხელოვნებისა. 61. ძველბერძნული მაღალი კლასიკური ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი ძეგლი. 62. შვეულ №2-თან უშუალოდ დაკავშირებული პოეტურ-თეატრალური ნაწარმოები. 66. სიარულის სამკრნალო სახესხვაობა. 67. ამერიკელი მწერალი, რომელიც თავისი ქვეყნის დედაქალაქის სეხნია იყო. 68. ქოქოსით შეზავებული შოკოლადი. 72. რა იყო სამშობლო აკაკისათვის? 73. ჩვენი მდინარე. 74. დღეს ჩვენს ბინებში უმეტესად უსაქმოდ ჩამოკონწიალებული საგანი. 75. სპორტული ნავი. 80. ქალაქი, რომელიც რუსული დაპყრობითი პოლიტიკის „აღმოსავლური" მტკიცებაა. 81. პატარა კვერნისებრი ცხოველი. 83. რუსი მსახიობი მამაკაცი მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრიდან. 84. XX საუკუნის ორი ბელგიელი მეფის სახელი. 85. ჰანს-ქრისტიან ანდერსენის მშობლიური ქალაქი. 86. რა არის ეს:

„კარვის კალთა ჩახლართული,
ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე"

87. პავიანების ჯიშის მაიმუნი.

88. ერთხელ, კომუნისტობისას, სასადილოში შევედი და ვიკითხე:

„ – რა გაქვთ ცხელი?"

(რა მიპასუხა მებუფეტემ?)

**შვეულად:** 1. იაპონელი გიგანტების შერკინება.

2. ვალერიან ანდრეევიჩ პანაევის აზრით, თვით ამ პიროვნებამაც ვერ დაარწმუნა საზოგადოებრიობა, რომ ოფიცერი შეიძლება იყოს განათლებულიც და ნიჭიერიც (ვინ იყო ეს პიროვნება?)

3. მოსკოვის თავადის, ივანე პირველის ზედწოდება. 4. გამდინარე სითხის სახესხვაობა. 6. პროდუქტი, რომლის მოპარვა მატერიალურად ვერ დასტურდება.

7. 1581 წლის 15 ოქტომბერს ბურბონების სასახლეში ბალთაზარინი დე ბელგიოზომ ხელოვნების ახალი დარგის პრემიერა გამართა... დაასახელეთ ეს ხელოვნება?

9. სიტყვა, რომელსაც ახლა ხშირად იაპონურნახატებს უმძღვარებენ წინ... სითამამის გასალვიძებლად 10. ღვთიური სამების სახესხვაობა ინდუიზმისათვის. 11. კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფანტაზიორი. 12. ჰორიზონტალური კოორდინატი. 13. სახელი კაცისა, ვინც ქართულ ცნობიერებაში ყვარყვარე თუთაბერი შემოიყვანა. 16. საავტორო უფლება, რომელიც შემდეგი ნიშნით გამოისახება ©. 19. ზედა სამოსის სახესხვაობა. 20. ჰოლანდიის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი. 25. დაავადება, რომლის სახელი ლათინურმა ზმნა „ხტუნვამ" წარმოშვა. 26. საფეხბურთო ამპლუა. 27. გვარი კაცისა, რომელიც თბილისური ცხოვრების ერთ-ერთ კოლორიტადაა მიჩნეული. 31. სახალხო მოხეტიალე მსახიობი ადრეული შუა საუკუნეების ევროპაში. 32. უჯრედის ბირთვის ნაწილი, რომელიც ილებება და მკაფიოდ ჩანს გაყოფისას. 33. ერთი ჩვენი სახალხო გმირის სავაჟკაცო სივრცე. 36. თეზევსის მიერ მოკლული ურჩხული. 37. იუმორისტული ნახატის სახესხვაობა. 38. ქმედება, რომელიც ბიზნესში დაკავებულ ყოველ ერთეულს ეკრძალება. 42. ავტომობილის ნაწილი. 43. პოპულარული ლუდი. 44. ერთ-ერთი სრუტე, რომელიც ბალტიისა და ჩრდილოეთის ზღვებს აკავშირებს. 48. გონებრივი ქმედება, რომლის მიზანი ადამიანის ფსიკის კონცენტრირებაა. 49. მეცნიერი, რომელმაც ოლიგოფრენიის ერთ-ერთი სახეობა გამოიკვლია. 50. ქიმიური ელემენტი, რომლის სახელი ბერძნულმა სიტყვა „ტყვიამ" წარმოშვა. 54. დიდი სწრაფმავალი გემების სახელი. 55. მამაკაცის სასქესო უჯრედი. 59. მანკიერება, რომლის აღმოფხვრას კაცობრიობა კვლავაც არ ცდილობს. 60. საკვებად გამოყენებული ნაყოფის მქონე მარადმწვანე მცენარე. 63. ყველაზე დაბალი ხმის გამომცემი ხემიანი საკრავი. 64. ფრანგულენოვანი სამყაროს მღვდელი. 65. ქართლი ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერი. 69. საქართველოს ისტორიული მხარე. 70. ძვირფასბეწვიანი პატარა მტაცებელი ნადირი. 71. ავტორი რომანებისა „ორასი", „კონსუელო" და სხვა. 76. XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი მწერალი, მკვლევარი და მთარგმნელი. 77. დაწესებულება, რომლის არსებობასაც სათუოდ მიიჩნევდა ლუარსაბ თათქარიძე. 78. კიშინიოვის საფეხბურთო კლუბი საბჭოურ ეპოქაში. 79. მტკნარ წყალში მობინადრე პატარა კიბო, წყლის რწყილი. 82. ქალაქი, რომლის განუზომელი მნიშვნელობა მეტეორიტის ჩამოვარდნამ განაპირობა.

## მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

### გამოშვება №4



# ელიზაბეთ ტეილორი

### მაინც რას მირჩევთ თქვენ.... მარტო დავიძინო?!

**Elizabeth Rosemond Taylor**

**დაიბადა 1932 წლის 27 თებერვალს**

**დაბადების ადგილი — ლონდონი (დიდი ბრიტანეთი)**

ელიზაბეთ ტეილორის პირადი ცხოვრება და განსაკუთრებით მისი რეკორდული რაოდენობა ქმრებისა, დიდი ხანია, მთელ მსოფლიოს ალაპარაკებს. ეს ყველაფერი, მართალია, საინტერესოა მავანთათვის და არა მარტო მავანთათვის, როგორც არაორდინალური მოვლენა (აკი თავადვე თქვა ერთხელ - „მე არასოდეს მქონია იმის პრეტენზია, რომ ჩვეულებრივი დიასახლისი ვყოფილიყავიო"), ამიტომაც ამჯერად უფრო მისი ბიოგრაფიის შემოქმედებით მხარეებს შევეხებით... მოკლედ:

როგორც ზემოთ იხილეთ, ელიზაბეთ ტეილორი ლონდონში დაბადებულა, მაგრამ იგი მაინც ამერიკელი გახლავთ, რადგან მისი მშობლები წმინდაწყლის „იანკები" იყვნენ და ევროპაში მათი ყოფნა მხოლოდ ბიზნესთან იყო დაკავშირებული (ელიზაბეთის მამა საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობის საქმით იყო დაკავებული).



ელიზაბეთის სამსახიობო კარიერა, თუ შეიძლება ითქვას, დაბადებითვე განისაზღვრა, რადგან დედამისი გათხოვებამდე თეატრის პროფესიონალი მსახიობი გახლდათ და საკუთარი მიზნების ასრულება შვილის მომავალსდა დაუკავშირა.

ელიზაბეთმა ლონდონში 1939 წლამდე იცხოვრა და აშშ-ში გამგზავრება მხოლოდ მას შემდეგ მოუხდა, როცა ევროპის ცაზე საომარი ღრუბლები გამოჩნდა. ტეილორების ოჯახი ლოსანჯელესში დაბინავდა, საიდანაც წარმოშობით თავად მისის ტეილორი გახლდათ. ამ ქალაქში ოჯახს მრავალი ნათესავ-მეგობარი ჰყავდა და ერთმა მათგანმა, დააფიქსირა რა პატარა ელიზაბეთის მშვენიერება, განსაკუთრებით გამოიდო თავი, რათა მომხიბლავ გოგონას კინოში მოესინჯა ძალა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მაშინდელ ჰოლივუდში ერთგვარი მოდაც კი იყო პატარა გოგონა-მსახიობებზე; საცდელმა გადაღებებმა წარმატებით ჩაიარა და 1942 წელს, 10 წლის ელიზაბეტი პირველ ფილმში გამოჩნდა, რომელსაც ასეთი სათაური ჰქონდა: **There's One Born Every Minute** („ყოველწუთს ვიღაც იბადება"). ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ მან მრავალწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი სტუდია **MGM**-თან და დაიწყო როლების კასკადი, რომელთაგან აღსანიშნავია სერიალი ძაღლ ლესის შესახებ და ორი რომანტიული ფილმი: „პატარძლის მამა" **(Father Of The Bride, 1950)** და „მამის პატარა დივიდენდი" **(Father's Little Dividend, 1951).** ამ პერიოდში იყო მრავალი სხვა ფილმიც, რომლებიც მსახიობის ბიოგრაფიაში იმით ფიგურირებს, რომ მას მრავალ ცნობილ ოსტატთან მოუწია გადასაღებ მოედანზე ყოფნა და მათგან სამსახიობო ხელოვნების ანბანის შესწავლა.

**ქმრები**



ელიზაბეთ ტეილორს არასოდეს მიუღია სპეციალური სამსახიობო განათლება, მაგრამ თავისი საოცარი პლასტიკითა და ნაადრევად გაღვიძებული გრძნობიერი სამყაროთი მთელი ჰოლივუდის ყურადღებას იპყრობდა. ასე რომ 1951 წელს თეოდორ დრაიზერის რომანის, „ამერიკული ტრაგედიის" ეკრანიზრებულ ვარიანტში მისი მონაწილეობა სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო (ამ ფილმს ერქვა „ადგილი მზის ქვეშ" **A Place In The Sun**).

ელიზაბეთ ტეილორს „ეროვნულ მონაპოვარსაც" უწოდებენ და ეს არა მარტო მისი შემოქმედების წყალობაა, არამედ პირადი ცხოვრების არაორდინალურობაც, რაც ყოველთვის იყო მთელი ამერიკის მსჯელობის საგანი. და საერთოდ: მისი ჯანმრთელობა (მას ბევრი ქირურგიული ოპერაცია აქვს გადატანილი), ფიგურასთან დაკავშირებული პრობლემები, ალკოჰოლიზმი და, რა თქმა უნდა, სატრფიალო ურთიერთობანი და ქორწინებები (მან სულ რაღაც რვა ქორწინებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის ორჯერ რიჩარდ ბარტონთან) ყოველთვის იყო საინტერესო ნედლეული მთელი დედამიწის ჭორებისათვის.

პირადი ცხოვრების პერიპეტიები (თუნდაც მისი მესამე ქმრის, მაიკლ ტოდის ავტოკატასტროფში დაღუპვა) მისი შემოქმედებისათვის ფრიად ნაყოფიერი შთამაგონებელი საფუძველი იყო ყოველთვის. სწორედ პირადმა გამოცდილებამ შეუწყო ხელი მის წარმატებას ფსიქოლოგიურ ფილმში „კატა გავარვარებულ ტაფაზე" (**Cat On A Hot Tin Roof, 1958**) და სხვა მრავალშიც. მართალია, პირველი „ოსკარი" მან ნაკლებად წარმატებული ფილმისათვის „ბატერფილდი-8" (**Butterfield 8, 1960**) მიიღო, სამაგიეროდ მეორე „ოსკარი" სავსებით დამსახურებული იყო მართას როლისათვის ფილმში „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?" (ედვარდ ოლბის პიესის ეკრანიზაცია **(Who's Afraid Of Virginia Woolf?, 1966**). ამ ფილმშიც და კიდევ სხვა 10 სურათშიც ელიზაბეტ ტეილორს რიჩარდ ბარტონის პარტნიორობის გაწევა მოუხდა, რომელთა შორის ყველაზე ცნობილი, რა თქმა უნდა „კლეოპატრაა" (**Cleopatra, 1963**).

1976 წელს ტეილორმა მონაწილეობა მიიღო პირველ საბჭოთა-ამერიკულ ერთობლივ ფილმში „ლურჯი ფრინველი" (მორის მეტერლინკის პიესის ეკრანიზაცია). მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მსახიობს მრავალი სერიოზული ავადმყოფობის გადატანა მოუხდა, იგი მაინც არ წყვეტს მუშაობას და კვლავაც ქმნის შესანიშნავ ეკრანულ სახეებს; შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც 1994 წელს გადაღებული კომედია „ფლინსტოუნი" (**The Flintstones**), სადაც უკვე ასაკოვანმა ლიზმა ქვის ხანისდროინდელი ხასიათის მქონე ავყია სიდედრის როლი ითამაშა.

საინტერესოა ისიც, რომ ერთხანს, როცა ელიზაბეთ ტეილორი სენატორ ჯეკ უორნერის ცოლი იყო, თავადაც სცადა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა და არცთუ წარუმატებლად. არც ის არის უინტერესო, რომ მსახიობმა საკუთარ სახელსა და დიდებას ხალხის სხვაგვარი პატივისცემაც შემატა, რაც შიდსის წინააღმდეგ გატარებულმა მისმა საქველმოქმედო ღონისძიებებმა განაპირობა.



*ფოტომასალა და ბიოგრაფიული მონაცემები ამოკრებილია სხვადასხვა ინტერნეტული საიტებიდან.*

# აფორიზმების ანთოლოგია

## ლიტერატურაზე იყო სიტყვა

1. **სიტყვას** ფრთები არ აქვს, მაგრამ მსოფლიოს გარშემო დაფრინავს.

სპარსული ანდაზა

2. **წიგნი** — ეს არის მარტოობაში გადაგდებული მაშველი რგოლი.

რომენ როლანი

3. **ანდაზა** შემორჩენილი ნამსხვრევია ძველი ფილოსოფიისა.

არისტოტელე

4. **მწერალი** წერს არა იმიტომ, რომ რაღაცის თქმა უნდა, არამედ იმიტომ, რომ სათქმელი აქვს.

ფიცჯერალდი

5. **მწერლის** მთავარი ღირსება ისაა, რომ მან იცის ის, რისი დაწერაც არ შეიძლება.

ფლობერი



6. **მწერალი** არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარ თავს ისეთი წერილები მისწეროს, რაც სხვისთვისაც საინტერესოა.

ა.პოდვოდნი

7. **პოეზიაში** ყველაზე დიდი ეფექტი მიიღწევა მაშინ, როცა პოეტს შეუძლია გააოცოს მკითხველი ყველასათვის ცნობილი რამით.

ივო ანდრიჩი

8. **ლექსი** — ეს არის გაწელილი რხევა ბგერასა და აზრს შორის.

პოლ ვალერი

9. **საუბარს** თუ არსაით მივყავართ, მაშინ ერთი სიტყვაც ზედმეტია.

ლევ ტოლსტოი

10. **მჭევრმეტყველება** — ეს არის არის სხვისი აზრების გადმოცემის ხელოვნება.

ე.ერიო

11. **მწერალი** რომ ვარ, ნურავინ იფიქრებს, რომ არასოდეს მქონია სურვილი ღირსეული საქმის კეთებისა.

ბერნარდ შოუ

12. **გრამატიკა** მეფის მბრძანებელიცაა.

მოლიერი

13. **აფორიზმს** ერთი ღირსება აქვს — მკითხველი მას მუდამ ბოლომდე კითხულობს.

ბ.ლაუბი

14. **ისტორია** არის რომანი, რომლისაც სჯერათ, რომანი კი არის ისტორია, რომლისაც არ სჯერათ.

საფირი

15. **რომანი** თუ დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ქცევასა და ზნეობაზე, ეს წიგნის ღირსება კი არა, ეპოქის სირცხვილია.

ჟუბერი

16. **გაზეთი** ეს მეორე უძველესი პროფესიაა.

რობერტ სილვესტერი

17. **ლიტერატურა** იქმნება მაშინ, როცა მკითხველიც ისეთივე ნიჭიერია, როგორც მწერალი.

მ.სვეტლოვი

18. **სჯობს** წერო საკუთარი თავისთვის და დაკარგო მკითხველი, ვიდრე წერო მკითხველისთვის და დაკარგო საკუთარი თავი.

სირილ კონოლი

19. **პრესა** — ეს არის პარტიზანული მოძრაობა სახელმწიფოს ზურგში.

ბ.მილნიკი

20. **პოეზია** — ეს არის სამეჯლისო ცეკვაში გამოწყობილი ჭეშმარიტება.

ჟ.რუ

21. **პოეზია** — ეს არის ის, რაც ჩვენში რჩება სიტყვების დავიწყების შემდეგ.

უცნობი ავტორი

22. **ზღაპრები** — ეს არის საშინელი ამბები, რომლებიც ბავშვებს ფრთხილად ამზადებენ გაზეთების საკითხავად.

უცნობი ავტორი

№1



1. ვინ იმალება კროსვორდის უკან? 5. ირან-აზერბაიჯანის სასაზღვრო პუნქტი. 11. რეჟისორი ფილმისა „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". 12. შენობის შიგნითა სივრცე. 13. მუსიკალური ინსტრუმენტი. 14. 20-30-იანი წლების პოპულარული მელოდია. 15. მითიური ოქროცურვილი ქვეყანა, რომელსაც ესპანელი კონკისტადორები სამხრეთ ამერიკაში დაეძებდნენ. 17. იტალიელი კინორეჟისორი. 19. სიტყვა, რითაც აკაკი წერეთელმა „თორნიკე ერისთავში" პოეტური ზმა შექმნა. 20. ერთ-ერთი შვიდთაგანი საოცრების „ავტორი". 24. მემკვიდრე. 25. ქმნილება, რომელსაც ხელოვანი საკუთარ თავს უძღვნის. 30. სარწმუნოება, რომელიც ვარსქენმა აღიარა (დაწერეთ სწორი ფორმა). 31. სოფლის მოხელე რევოლუციამდელ საქართველოში. 33. ქართველი მოკრივე. 34. აზოტმჟავა მარილი ($HNO_3$) მხოლობით რიცხვში. 36. საქონლის მეტად ყუათიანი საკვები. 37. იაპონიის ქალაქი. 38. წინასწარი განცხადება. 39. თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი ცნობილი მეკარე. 40. გამოუვალი მდგომარეობა.

1. ძველბერძენი დრამატურგი. 2. პოპულარული ფრანგი კინოკომიკოსი. 3. უდანაშაულობის საბუთი. 4. ბუნების დაუმორჩილებელი ძალა. 6. XX ს რუსი პოეტი. 7. ვინ არის თითოეული იანკი. 8. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა. 9. საქართველოს მხარე. 10. ავტომობილის ძრავის ასამოქმედებელი დანადგარი. 16. რძის პროდუქტი. 18. XX ს ცნობილი რუსი კომპოზიტორის, სოლოვიოვის მეორე („შეძენილი") გვარი. 19. პროსტიტუცია ჩვენი წინაპრებისათვის. 21. თვითმოქმედ დანადგართა და ხელსაწყოთა ერთობლიობა. 22. მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა. 23. ხელის სანაყი — ძველთბილისურად. 26. მისანიშნებელი რამ. 27. მარცვლეულის შესანახი ნაგებობა. 28. ასე ვთქვათ წვრთნა — არაქართულად. 29. „სილამაზის" სინონიმი. 32. ყოფილ სოციალისტურ ბანაკში ყველაზე მეტად გავრცელებული სახელი სპორტული საზოგადოებისა. 33. თბილისის ერთ-ერთი განსასვენებელი. 35. რუსული ლიტერატურის უძველესი ნაწარმოების მთავარი გმირი.

# შევერკინოთ ერთმანეთს? (1-ლი ტური)



საზელი და გვარი ________________________________

– ჩემპიონატი ჩატარდება 10 ტურად და მასში ჩართვა შეიძლება ნებისმიერ დროს.

– საჩემპიონატო კროსვორდები გამოქვეყნდება ორ კვირაში ერთხელ.

– კროსვორდებში სიტყვების რაოდენობა 70-80 ერთეულის ფარგლებში იმერყევებს.

– ყოველი სწორი პასუხი ერთი ქულაა.

– გამარჯვებული გამოვლინდება მათ შორის, ვისაც მონაწილეობა ექნება მიღებული არანაკლებ 7 ტურში.

– ყოველ მეორე ტურში გამოქვეყნდება ე.წ. „საპრემიო" კროსვორდები.

– ჩვენ გამოვაქვეყნებთ ყოველი მონაწილის შედეგს.

– ყოველი ტურის პასუხები გამოქვეყნდება სამი კვირის შემდეგ.

– ამ ჩემპიონატს ვატარებთ მათთვის, ვისაც მიზნად მხოლოდ საკუთარი ცოდნა-განათლება-ინტუიციის შემოწმება აქვს და სატურნირო აზარტი ხიბლავს, თუმცა გამარჯვებულები აუცილებლად დაჯილდოვდებიან და ამ ჯილდოების ფასეულობა ტურნირის მსვლელობის პერიპეტიებით გამოვლინდება.

– პასუხები გამოგვიგზავნეთ მისამართზე – თბილისი, 380003, ალ.ელერდაშვილს, მოკითხვამდე, ან მოგვაწოდეთ გაზეთების თქვენთვის სანდო გამავრცელებლის ხელით.

– პირველი ტურის პასუხები მიიღება 2000 წლის 21 იანვრის ჩათვლით.

*მიიღეთ (რა!) მონაწილეობა საკროსვორდო ჩემპიონატში!*

